

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის ოქმი N8

ქ. ლანჩხუთი

19.12.2019 წ

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე**.

კომისიის წევრები: კახა ბოლქვაძე, ცისანა ურუშაძე, სპარტაკ კვაჭაძე, ზაზა წულაძე, ბესიკ კუპრაძე, კახა თედორაძე, ემზარ თევდორაძე, ვენე კვიციანი.

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: იოსებ ჩხაიძე, ელისო ჭიჭინაძე, აკაკი იმნაიშვილი, ლელა ჩახვაძე, რეზო კვაჭაძე, ოთარ პატიეშვილი, ირაკლი მარშანიშვილი, ამირან ქანთარია.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია**.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე**, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ებრალიძე**.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ, სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ. გვარჯალაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: გ. გვარჯალაძე/

3. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს: მომხრე 9; წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნა მიმდინარე წლის შემოსავლების

მობილიზაციის საკითხი და წინა ორი წლის ფაქტობრივი მდგომარეობა. ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 10 142,7 ათასი ლარით. ამათგან გადასახადები შეადგენს 8 908,5 ათას ლარს, გრანტები 220 000 ლარს, ხოლო სხვა შემოსავლები შეადგენს 1 014 2 ათას ლარს, წინა წლებისაგან განსხვავებით 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტის შემოსავლებში არ აისახება საშემოსავლო გადასახადი, რომელიც მთლიანად მიიმართება ცენტრალურ ბიუჯეტში. ასევე გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი და მის ნაცვლად ადგილობრივ ბიუჯეტებში მიიმართება დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელიც შეადგენს 7 496,4 ათას ლარს აღნიშნული ცვლილებები მიღებულია ქვეყნის პარლამენტის მიერ. ქონების გადასახადი რომელიც ასი პროცენტით შევა ადგილობრივ ბიუჯეტში, შეადგენს 1 300 000 ლარს. 220 000 ლარი წარმოადგენს მიზნობრივ ტრანსფერს დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. სხვა შემოსავლები შეადგენს 1 014,2 ათას ლარს. მათგან 750 000 ლარი შეადგენს შემოსავლებს ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან. როგორც აღნიშნე საკითხის განხილვისას ამ ეტაპისთვის ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტები დადგენილი არ არის, მათი დადგენის შემდეგ ადგილობრივ ბიუჯეტში ასახული იქნება კაპიტალური ტრანსფერი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. არაფინანსური აქტივების კლების და ნაშთის ცვლილების გათვალისწინებით ბიუჯეტის შემოსულობები შეადგენს 10 817,3 ათას ლარს.

ბუნებრივია როცა ასე შეზღუდულები ვართ შემოსავლების მხრივ, შეზღუდულები ვართ ხარჯების მხრივ. თუმცა ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ა.ა).ი.პ.-ების დაფინანსების შენარჩუნება ძირითადად 2019 წლის დონეზე, მცირე მატების ფონზე, რომლის თაობაზეც ინფორმირებულია საკრებულოს წევრები.

კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** მოუწოდა კომისიის წევრებს გამოთქვან და დააფიქსირონ თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები 2020 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით.

დეპუტატმა **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ აუცილებელია ლანჩხუთში პატარა შუშის მგზავრებისთვის მოსაცდელი გაკეთდეს.

დეპუტატმა **ემზარ თევდორაძის** თქმით არაფერი არ არის გათვალისწინებული რასაც ვითხოვთ, ელემენტალურად სამუშაო ოთახები რა მდგომარეობაშია ასევე საპირფარეშო.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნები.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს; მომხრე:9, წინააღმდეგი: არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი გვარჯალაძემ** კომისიას გააცნო „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

კომისიის თავმჯდომარემ, გიორგი გვარჯალაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს; მომხრე:9 წინააღმდეგი არცერთი.

3. სხვადასხვა.

1. დეპუტატმა ზაზა წულაძემ აღნიშნა, ჯიხეთში გამოხულია მწყობრიდან კილომეტრ ნახევრიანი გზა, სადაც საჭიროა საგარის დაგება.
2. დეპუტატმა ბესო კუპრაძემ აღნიშნა, ანალოგიური სიტუაციაა ყველა სოფელში რაც გაცხივებულია 2018-2019 წელს ხელახლა გააკეთებელია, რაც შეეხება სუფსის ცენტრს არაფერი არ შეუღოს, უნდა შეიქმნას სამუშაო კომისია, სადაც მოხდება დასურათება და დასკვნის დადება.
3. დეპუტატმა ვახა თედორაძემ აღნიშნა, სუფსის ბელ ხაყჩე დადის მაღალ წონიანი მანქანები, ხიდი არის ამორტიზირებული, დამზას აქვს ნგრევა დაწვებული და სასწრაფოდ არის მასალები შეხაზამისი ზომები.
4. დეპუტატმა ცისანა ურუშაძემ აღნიშნა, აღვიღებელია საქართველოს განათლების სამინისტროში გაიგზავნოს წერილი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში პრაქტიკული სასწავლებლის გახსნის თაობაზე.

ამით კომისიამ მუშაობა დაასრულა.

საკრებულოს საერციო-ტერიტორიული

დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარე:



გიორგი გვარჯალაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის

სხდომის დასკვნა N8

ქ. ლანჩხუთი

19.12.2019 წ.
12.00 საათი

2019 წლის 19 დეკემბერს მოწვეული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შენიშვნების გათვალისწინებით გადაეცეს საკრებულოს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შენიშვნების გარეშე გადაეცეს ხაკრებულის
სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის კომისიის საეჭვდომარე:

გ. გვ. ჩუაყაძე გიორგი გვარჯალაძე

ღანძხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული
დაგეგმარებისა და ინჟინერ-სტრუქტურის კომისიის
სარეგისტრაციო ფურცელი

19.12.2019 წ.

	სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1.	გიორგი გვარჯალაძე	11:58	გ. გვარჯალაძე
2.	ცისანა ურუშაძე	12:00	ც. ურუშაძე
3.	კახა ზოლქვაძე	11:55	კ. ზოლქვაძე
4.	ბესიკ კუპრაძე	11:57	ბ. კუპრაძე
5.	ოთარ პატიშვილი	—	შ. ენქოძე
6.	სპარტაკ კვაჭაძე	10:56	ს. კვაჭაძე
7.	ლელა ჩახვაძე	—	შ. ენქოძე
8.	ზაზა წულაძე	12:00	ზ. წულაძე
9.	რეზო კვაჭაძე	—	შ. ენქოძე
10.	კახა თევდორაძე	11:55	კ. თევდორაძე
11.	იოსებ ჩხაიძე	—	შ. ენქოძე
12.	ამირან ქანთარია	—	შ. ენქოძე
13.	აკაკი იმნაიშვილი	—	შ. ენქოძე
14.	ელისო ჭიჭინაძე	—	შ. ენქოძე
15.	ორაკლი მარშანიშვილი	—	შ. ენქოძე
16.	ემზარ თევდორაძე	12:00	ე. თევდორაძე
17.	ვერე კვიციანი	11:55	ვ. კვიციანი